პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2022 წლის _ _ ივნისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) მიერ სამსახურებრივი ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებს (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით უფლება აქვთ გამოიყენონ სამსახურებრივი ავტომანქანები, რისთვისაც გამოეყოფათ საწვავი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია:

1. განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) მიერ სამსახურებრივი ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის საწვავის ყოველთვიური ხარჯვის ლიმიტები:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე - FIAT TIPO (ს/ნ ZFACF8AP5M6W70952, სახ.ნომერი FS157SS) – 600 ლიტრი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე – MERCEDES BENZ E-240 (ს/ნ WDB2100611A668673, სახ.ნომერი DD773DU) – 500 ლიტრი.

2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) მიერ სამსახურებრივი ავტომანქანის, ასევე ავტომანქანის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის N 143 (გ-49.492135713) განკარგულება.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — მაკა ჭელიძე